თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1726221

ნომერი: AR1279056

თარიღი : 15.01.2015

გაცემის თარიღი : 11.02.2015

გაცნობის თარიღი : 11.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია ხუნძაყიშვილი პ/ნ 01030008480
- თბილისი გუმათის ქ. N 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 15 იანვრის NAR1279056 განცხადებით ზაქარია ხუნძაყიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქ. N10–ში (დღეისათვის, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N20) შპს „GBC”-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ზემოხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, არ შეთანხმებულა არქიტექტურული პროექტი და არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელი ითხოვს 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მას არ გააჩნია აღნიშნული პირობების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. საჯარო რეესტრის ამონაწერის (ს/კ01.14.05.008.078; რეგისტრაციის #882014560269; მომზადების თარიღი: 27/10/2014) თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „GBC”, ხოლო სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებაში განმცხადებლად დაფიქსირებულია ვლადიმერ დემეტრაძე. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ვლადიმერ დემეტრაძის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს“. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან განმცხადებელსა და მესაკუთრეს არ გააჩნიათ სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს ზაქარია ხუნძაყიშვილის 2015 წლის 15 იანვრის NAR1279056 განცხადება.

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის N1354734 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge